ოქმი:**ო63. 6326190001**
თარიღი:**09/07/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 22

ქ. სამტრედია. 8 ივლისი, 2026 წელი.

2026 წლის 8 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

3. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული 2026 წლის 1, 2 და 7 ივლისის წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 7 ივლისის*** N 62-6226188101 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევას, რათა საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება, ამ მომართვაზე თანდართული რედაქციით.

(მომართვის N 62-6226188101 **7/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63261883-63 7/07/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

2. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 1 ივლისის*** N62-62261826 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში მდებარე 6 (ექვსი) ერთეული ელექტროგადამცემი ბოძის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს ,,რკინიგზის ტელეკომი''-ს (საიდენტიფიკაციო კოდი-202239737) სარგებლობაში გადაცემისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენის საკითხს.

(მომართვის N62-62261826 **01/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6326182001-63 01/07/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 2 ივლისის N62-622618352 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მცხოვრებთა განცხადებას, რომლითაც ითხოვენ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 31-ე ქუჩისათვის სახელის შეცვლას და მისთვის გიორგი ნიკოლაძის სახელის მინიჭებას.

(მომართვის N62-622618352 **02/07/2026** წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-6326183001-63 02/07/2026** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი